

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №

___ აპრილი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი
ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის
ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის, დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. თანდართული (გრაფიკული) სახით დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების ახალი რუკა (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი), თანახმად დანართისა.
2. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით მისი ძალაში შესვლის შემდეგ საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.batumicc.ge).

მუხლი 2.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი
ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის
ზონირების ნაწილის) დამტკიცების თაობაზე“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განკარგულების პროექტი ითვალისწინებს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილის) დამტკიცების მიზნით განკარგულების მიღებას.

2019 წლის 03 დეკემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტი მტკიცდებოდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ბრძანებით.

ახალმა სამშენებლო კანონმდებლობამ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, მუნიციპალიტეტებმა უნდა მოახდინონ სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი ახალ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა. მოცემულ შემთხვევაში ახალი კანონმდებლობით დადგინდა ახალი ფუნქციური ზონები და ახალი კოეფიციენტები, შესაბამისად არსებული კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტი საჭიროებს განახლებას, რომელიც ხდება საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების გეგმაში/განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით ან ნებისმიერი პირის მიმართვის საფუძველზე.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილის) დამტკიცების თაობაზე განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე

ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი

მირიან მეტრეველი